



With the support of the
Erasmus+ Programme
of the European Union



კავკასიის სამართლის სკოლა
CAUCASUS SCHOOL OF LAW



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY



ასოცირების შეთანხმება, ევროკავშირის შრომის
დირექტივები და საქართველოს შრომის კოდექსი

(ტრენინგის მოდული)

ეკატერინე ქარდავა

2021

Project N° 619948-EPP-1-2020-1-GE-EPPJMO-PROJECT

@კავკასიის უნივერსიტეტი

@ავტორი

ტრენერი და ტრენინგის მოდულის ავტორი ეკატერინე ქარდავა

სამართლის დოქტორი (თსუ), ჟან მონეს პროფესორი, შრომის სამართლისა და ევროკავშირის შრომის სამართლის სპეციალისტი; ასოცირების შეთანხმების, სამართლებრივი აპროქსიმაციისა და ევროპული ინტეგრაციის სპეციალისტი.

საქმიანობა კერძო სექტორში:

✓ **7 წელი - პროექტების წერა, პროექტების მართვა და კოორდინაცია:** თანაავტორი და შინაარსის შემქმნელი სატელევიზიო გადაცემების ციკლისა „ევროპის დროით“ (კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით); პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი „ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკა და ქართული შრომის სამართალი“ (ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით). Jean Monnet Modul-ის „აღმოაჩინე ევროკავშირი ასოცირების შეთანხმებაში“ ავტორი და კოორდინატორი (გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); Jean Monnet Project-ის „ევროკავშირის სამართლებრივი სახე“ პროექტის ავტორი და თანაკოორდინატორი (კავკასიის უნივერსიტეტი); Jean Monnet Project-ის „ევროპული სწავლების სამკუთხედი“ თანაავტორი და ექსპერტი.

✓ **10 წელზე მეტი - ექსპერტი, მკვლევარი, ტრენერი:** თემატური მიმართულებები - AA/DCFTA, შრომის სამართალი, შრომითი მიგრაცია, მომხმარებელთა უფლებები, საჯარო სამსახური, დისკრიმინაცია, ევროპული ასოცირება და საქართველო, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები; საერთაშორისო ორგანიზაციები ანდა არასამთავრობო ორგანიზაციები - KAS, FES, CSRDG, PMCG, GIZ, ICMPD, USAID/G4G, GGI, EU-NATO Info Centre, IOM და სხვა.

საქმიანობა საჯარო სამსახურში - 21 წელი

✓ **3 წელი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, 2014-2017**

მრჩეველი ევროკავშირისა და სამართლებრივი აპროქსიმაციის საკითხებში, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ევროკავშირის სამართლის სამმართველოს უფროსი, ანალიტიკური სამმართველოს უფროსი, VLAP-ის უწყებთაშორისო სამუშაო ჯგუფის წევრი, ასოცირების კომიტეტის წევრი (ვაჭრობის საკითხებზე), კონტრასიგნაციისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების საკითხებში მრჩეველი.

✓ **9 წელი საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტში, 2004-2013**

4 სამსახურებრივი დაწინაურება, 2 დაწინაურება საკლასო ჩინში, 3 ოფიციალური მადლობა; ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის აპარატის უფროსი; მთავარი სპეციალისტი და საკანონმდებლო საქმიანობის/აპროქსიმაციის კოორდინაცია, ანალიტიკური და შედარებითსამართლებრივი საქმიანობა, ევროკავშირის სტრუქტურებთან (ძირითადად ევროპარლამენტთან) ურთიერთობა, EURONEST PA, PCC-ის დოკუმენტაციაზე მუშაობა, სტრატეგიული დაგეგმვა.

✓ **8 წელი პარლამენტის თავმჯდომარის სამდივნოსა და აფხაზეთის პრობლემების მოწესრიგების დროებით კომისიაში, 1996-2003**

3 დაწინაურება, კონფლიქტის მოწესრიგების დოკუმენტაციაზე მუშაობა.

აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობა - 17 წელი

✓ **ლექციები:** ევროკავშირის სამართალი, სამოხელეო სამართალი; შრომის სამართალი, შედარებითი შრომის სამართალი; ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი აპროქსიმაცია;

✓ **20-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, ბროშურა და წიგნი.** სამართლებრივი აპროქსიმაციის სახელმძღვანელოს ავტორი და კურიკულუმის „ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი აპროქსიმაცია“ ავტორი.

მიმდინარე საქმიანობა

კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული (აფილირებული) პროფესორი; გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი; აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისა და თსუ-ის მოწვეული ლექტორი; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი; ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ტრენერი; Erasmus+ Jean Monnet Activities პროექტების ფარგლებში კოორდინატორი, თანაკოორდინატორი, ექსპერტი; ასოციაციის „ევროპის დროით“ თავმჯდომარე.

სარჩევი

1. ტრენინგის მიზანი	2
2. ტრენინგის ამოცანები.....	2
3. ტრენინგის ჩატარების მეთოდი	2
4. ტრენინგის ხანგრძლივობა	3
5. სამიზნე ჯგუფი.....	3
6. ტრენინგის მასალები	4
7. ტრენინგის ტექნიკურ-ლოჯისტიკური მხარე.....	4
8. ტრენინგის დაწყება, მსვლელობა და პროცედურა.....	4
9. ტრენინგის შინაარსი:.....	4
9.1. საქართველოს შრომის კოდექსის რეფორმის დინამიკა და ცვლილებების მიზანი	4
9.2. საქართველოს შრომის კოდექსის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზოგიერთი ასპექტი და ძირითადი სიახლეები.....	7
9.2.1. სამუშაო დრო, ზეგანაკვეთური მუშაობა,.....	7
9.2.2. ნახევარ განაკვეთზე მუშაობა	7
9.2.3. შეთავსებითი სამუშაო.....	7
9.2.4. საწარმოს გადაცემისას დასაქმებულთა უფლებების დაცვა.....	7
9.2.5. გამოსაცდელი ვადა და სტაჟირება.....	7
9.2.6. ჯაჭვურად განგრძობადი შრომითი ხელშეკრულებები.....	7
9.2.7. დეკრეტული შვებულება	7
9.3. წყაროები	8

1. ტრენინგის მიზანი

ტრენინგი ხორციელდება ევროკომისიის დაფინანსებით Erasmus+ პროგრამის Jean Monnet Project-ის „ევროკავშირის სამართლებრივი სახე“ (LFEU) ფარგლებში. ამ პროექტის ერთ-ერთი მიზანია ტრენინგების ციკლის ორგანიზება კავკასიის უნივერსიტეტში სამართლის სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის შრომის სამართლის სფეროში, რათა ევროკავშირის სამართლის სწავლებით გავრცელდეს ევროკავშირის შესახებ სწორი ინფორმაცია, ამაღლდეს ცოდნის/განათლების დონე, მოხდეს ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების პოპულარიზება, ხელი შეეწყოს ევროპული სწავლების განვითარება-გამდიდრებას.

ტრენინგის „ასოცირების შეთანხმება, ევროკავშირის შრომის კანონმდებლობა და საქართველო შრომის კოდექსი“ მიზანია ევროკავშირის შრომის სამართალსა და პრაქტიკასთან საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისობის შეფასების შესახებ ცოდნის გავრცელება, შრომის კოდექსის ცვლილებების სწორი განმარტება და გამოყენება.

2. ტრენინგის ამოცანები

ტრენინგის ამოცანებია:

- შრომის სამართლის აქტუალურ საკითხებზე ცნობიერების ამაღლება ფართო სამიზნე აუდიტორიასთან;
- საქართველოს შრომის კოდექსის სიახლეების განმარტება და შედარება ევროკავშირის საკანონმდებლო სტანდარტებთან.
- შრომის სამართლის სფეროში ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების აღწერა და მათი საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის მიმოხილვა.
- ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა და მათთან შესაბამისობაში საქართველოს შრომის კოდექსის სიახლეების შეფასება.

3. ტრენინგის ჩატარების მეთოდი

ტრენინგის ფარგლებში განხორციელდება ტრენინგის დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხებზე ტრენინგის მხრიდან თეორიული მსჯელობა და ცოდნის გადაცემა, საქართველოს შრომის კოდექსისა და ევროკავშირის შრომის კანონმდებლობის დებულებების აღწერა და ინტერპრეტაცია; აგრეთვე, - კონკრეტული ქეისების წარდგენა აუდიტორიისათვის და მონაწილეთა ჩართულობით მათი შეფასება.

ტრენინგი გამოიყენებს პრეზენტაციის/აქტიური ლექციის და დისკუსიის/ინტერაქციის მეთოდებს;

ხაზგასასმელია ფაქტი, რომ ტრენინგი ორგანიზებული იქნება იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყოს აქცენტირებული შინაარსობრივი ინფორმაციის მიწოდება-გადაცემა (ტრენინგის ხანგრძლივობის გათვალისწინებით) და კონკრეტული კაზუსების/შემთხვევების შეფასება. ამდენად, არ იქნება გამოყენებული ჯგუფური მუშაობები და სიმულაციები.

ტრენინგის მსვლელობისას უზრუნველყოფილი იქნება მონაწილეთა ჩართულობა (რეპლიკების, კომენტარის, დამაზუსტებელი შეკითხვებისა და შეფასებითი მოსაზრებების წარმოდგენის სახით).

ტრენინგის მსვლელობისას, თითოეული სესიის დასრულებამდე 5-10 წუთი დაეთმობა დისკუსიას/ინტერაქციას, კითხვებზე პასუხის გაცემას.

ტრენინგის თემატიკას მიუკუთვნებელ საკითხებზე ინტერესის გამოჩენისას ან შეკითხვების დასმისას, ტრენერი დელიკატურად მიმართავს მონაწილეებს და აუხსნის, რომ ტრენინგის ხანგრძლივობა ზღუდავს მათ ახსნან სხვა საკითხები, თუმცა, მაქსიმალურად ეცდებიან უპასუხონ ტრენინგის ბოლოს, დღის დასრულებისას.

4. ტრენინგის ხანგრძლივობა

ტრენინგი ითვალისწინებს ერთდღიან მუშაობას. იგი იწყება 10.00 საათზე და სრულდება 18.00 საათზე; გათვალისწინებულია შესვენებები.

5. სამიზნე ჯგუფი

ტრენინგის სამიზნე ჯგუფია პროფესიული საზოგადოება, კერძოდ, საჯარო მოხელეები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები (განსაკუთრებით სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები), დაწესებულებების ადმინისტრაციული პერსონალი - იურისტები, ბიზნესის წარმომადგენლები და სხვა.

ტრენინგის შესახებ კავკასიის უნივერსიტეტის სასწავლო ცენტრი წინასწარ აცხადებს ინფორმაციას და აყალიბებს მონაწილეთა სიას.

ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა - 45 პირი.

ტრენინგი უფასოა.

6. ტრენინგის მასალები

ტრენინგის მასალებია ტრენერთა პრეზენტაციები, იმ სამართლებრივი მუხლების ნაკრები (ასოციირების შეთანხმებიდან და საქართველოს შრომის კოდექსიდან), რომელთა განხილვა-განმარტება განხორციელდება ტრენინგის ფარგლებში, ყველა კანონქვემდებარე აქტების ჩამონათვალი, ევროკავშირის დირექტივების (კონსოლიდირებული) ჩამონათვალი და ლინკები, ჰენდაუთები (საჭიროებისას).

7. ტრენინგის ტექნიკურ-ლოჯისტიკური მხარე

უზრუნველყოფილი იქნება პრეზენტაციის ვიზუალიზაცია, კერძოდ, პრეზენტაციების ჩვენება ეკრანზე; დაფა და მარკერები; ინტერნეტთან წვდომა და მარტივი კომუნიკაცია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე; მონაწილეებისთვის დარიგდება ფურცლები და კალმები.

უზრუნველყოფილი იქნება თითოეული მონაწილის სახელისა და დასაქმების ადგილის დემონსტრირება (ფურცელი მაგიდაზე).

8. ტრენინგის დაწყება, მსვლელობა და პროცედურა

ტრენინგის გახსნა განხორციელდება ტრენერის მიერ, რომელიც მოკლედ მიაწოდებს შემდეგ ინფორმაციას მონაწილეებს:

- *Jean Monnet Project-ის შესახებ*
- *ტრენინგის მიზნებისა და ამოცანების შესახებ.*
- *ტრენინგის დღის წესრიგი და ტრენინგისთვის საკითხების შერჩევის საფუძვლების შესახებ.*
- *ტრენერ(ებ)ის შესახებ.*

ტრენინგის თემატურ ნაწილზე გადასვლისას 40 წუთი დაეთმობა:

1. ევროკავშირის, როგორც ზენაციონალური და განსაკუთრებული საერთაშორისო სუბიექტის დახასიათებას (20 წუთი)
2. ასოცირების შეთანხმების, როგორც განსაკუთრებული და უნიკალური საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დახასიათებას (20 წუთი)

9. ტრენინგის შინაარსი:

9.1. საქართველოს შრომის კოდექსის რეფორმის დინამიკა და ცვლილებების მიზანი

ასოცირების შეთანხმება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და სამართლებრივად მბოჭავი აქტია, რომლის ფარგლებში საქართველო ვალდებულია დაარეგულიროს შრომის პოლიტიკის სფერო: ევროპული სტანდარტები ასახოს ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, უზრუნველყოს მშრომელთა ღირსეული შრომა და ნაყოფიერი დასაქმება.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების ვალდებულება არ არის მხოლოდ დღევანდელი დღის წესრიგი. საქართველოსა და ევროკავშირს შორის სამართლებრივი თანამშრომლობის პირველი ფუნდამენტი შექმნა „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებამ (1996 წ.).

ასოცირების შეთანხმების თანახმად, იმ თავებსა და დანართებში გაწერილი ვალდებულებების ვადის დინება, რომლებიც აწესრიგებენ შრომის საკითხებს, დაიწყო 2014 წლის 1 სექტემბრიდან (AA-ს IV კარის მე-13 თავი - ვაჭრობა და მდგრადი განვითარება; VI კარის მე-14 თავი - დასაქმება და სოციალური პოლიტიკა; XXX დანართი).

1996 წლიდან, როცა ოფიციალურად დაიწყო ეროპული ინტეგრაციისა და სამართლებრივი დაახლოების (აპროქსიმაციის) პროცესი საქართველოში, ქვეყნის სახელისუფლებო ორგანოებმა დაიწყეს ნორმატიული გარემოს ჩამოყალიბება, რასაც უნდა უზრუნველყო ევროპული სტანდარტების ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ასახვა:

- საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ“, რომლის თანახმადაც, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა ყოფილიყო შესაბამისობაში ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებთან.
- 2000 წლის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელების ხელშეწყობის თაობაზე“ და განკარგულება „საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგიის შემუშავების შესახებ“;
- და სხვა.

ამ პერიოდში შრომის სამართლის სფეროში განისაზღვრა ევროკავშირის ის დირექტივები, რომელთა დებულებების ასახვა უნდა მომხდარიყო საქართველოს

კანონმდებლობაში. ხაზგასასმელია ფაქტი, რომ ამ დირექტივების უმეტესობა (რომლებიც 2004-2006 წლებში იყო შესასრულებელი) დღეს ასოცირების შეთანხმების XXX დანართში ფიგურირებს, როგორც აწ შესასრულებელი ვალდებულებები.

2006 წელს შემუშავდა და დამტკიცდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP AP) და საქართველო იწყებს მის შესრულებას. დოკუმენტში ნათქვამია, რომ საჭიროა „ძალისხმევის მიმართვა „ევროპის სოციალური ქარტიით“ განსაზღვრული სტანდარტების შესრულების უზრუნველსაყოფად; პროფესიული კავშირების ძირითადი უფლებების და შრომის ძირითადი სტანდარტების უზრუნველყოფა საქართველოს მიერ რატიფიცირებული ILO-ს კონვენციების შესაბამისად.

2007 წლიდან ევროკავშირის ევროკომისია ყოველწლიურად აფასებს ქვეყნის მდგომარეობას ENP AP-ის შესრულების კონტექსტში. ამ ყოველწლიურ შეფასებებში შრომის სამართლის სფერო ვერ იმსახურებდა დადებით განწყობას ევროკავშირის მხრიდან.

2013 წლის ნოემბერში ვილნიუსის სამიტზე განხორციელდა ასოცირების შეთანხმების პარაფირება; 2014 წელს ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას და საქართველოს პარლამენტმა მოახდინა მისი რატიფიცირება.

2014 წელსვე დამტკიცდა ასოცირების დღის წესრიგი, რომელიც ითვალისწინებს ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტირების ხელშეწყობას და აყალიბებს 2014-2016 წლებისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებს, მათ შორის, შრომის სფეროში. მოგვიანებით დამტკიცდა 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგი და აქაც შრომის პოლიტიკის სფერომ მნიშვნელოვანი ადგილი ჰპოვა, მათ შორის განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა შრომის ინსპექციის მექანიზმის ჩამოყალიბებაზე. ამჟამად, მიმდინარეობს მოლაპარაკება 2021-2027 წლების ასოცირების დღის წესრიგზე.

ზემოაღნიშნული ნორმატიული გარმოს ფორმირებისა და ევროპული ინტეგრაციის ისტორია ნათელყოფს, რომ სამართლებრივი დაახლოების პროცესი ეტაპობრივად უნდა განხორციელდებოდეს, მათ შორის, შრომის სამართლის სფეროში. პროცესი გაჭიანურდა. ვალდებულებები დიდხანს არ სრულდებოდა.

2013 წლიდან დაიწყო შრომის სამართლის დიდი რევიზია, რომელიც 2019-2020 წლების რეფორმებით გაგრძელდა.

ასოცირების შეთანხმებით, საქართველომ აღიარა ევროკავშირის 40 შრომის დირექტივასთან დაახლოების ვალდებულება. ეს დირექტივები სამ სვეტად იყოფა: შრომის სამართალი (სახელშეკრულებო ნაწილი); დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობებში; შრომის უსაფრთხოება.

შრომის სამართლის განვითარების დინამიკა საქართველოში საკმაოდ ნელი ტემპით და კომპლექსურ-პრობლემური პროცესებით ხასიათდებოდა. თუმცა 2013 წლიდან საქართველოს შრომის კოდექსში ასახვას იწყებს ევროპული სტანდარტები. დღეს მნიშვნელოვანია დაიწყოს 2019-2020 წლების საკანონმდებლო ცვლილებებისა და სიახლეების შეფასება, ანალიზი და სწავლება. არსებითად მნიშვნელოვანია ეს სიახლეები გაანალიზდეს ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით.

9.2. საქართველოს შრომის კოდექსის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზოგიერთი ასპექტი და ძირითადი სიახლეები

9.2.1. სამუშაო დრო, ზეგანაკვეთური მუშაობა,

9.2.2. ნახევარ განაკვეთზე მუშაობა

9.2.3. შეთავსებითი სამუშაო

9.2.4. საწარმოთა გადაცემისას დასაქმებულთა უფლებების დაცვა

9.2.5. გამოსაცდელი ვადა და სტაჟირება

9.2.6. ჯაჭვურად განგრძობადი შრომითი ხელშეკრულებები

9.2.7. დეკრეტული შვებულება

ყველა ზემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებით გამოყენებული იქნება შემდეგი შინაარსობრივი თანმიმდევრობა:

- სტანდარტი საქართველოს შრომის კოდექსში
- სტანდარტი ევროკავშირის კანონმდებლობაში
- ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო გადაწყვეტილებები და დირექტივების დებულებათა განმარტებები.

9.3. წყაროები

- გამოსაცდელი ვადის განმარტება საქართველოს სამოსამართლეო სამართალსა და ევროკავშირის 2019/1152 დირექტივაში, სამეცნიერო ნაშრომთა კრებული სამეცნიერო პროექტის ფარგლებში „ქართული სამართლისა და სამოსამართლეო სამართლის ანალიზი“, კავკასიის უნივერსიტეტი, 2021.
- ავტ. კოლექტივი, რედაქტორი ქარდავა ე., ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკა და ქართული შრომის სამართალი, მეორე ნაწილი, ასოციაცია „ევროპის დროით“, კავკასიის უნივერსიტეტი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, 2020, <https://cu.edu.ge/files/gallery/CSL/2020/book%20labour-2020%20%207%20%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A7%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93.pdf>
- ქარდავა ე., „საქართველოს შრომის სამართლის რეფორმა ევროპული ინტეგრაციისა და ასოცირების შეთანხმების მოთხოვნათა ჭრილში“, თსუ, 2018. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Eka%20Kardava.pdf
- ავტ. კოლექტივი, რედაქტორი ქარდავა ე., ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკა და ქართული შრომის სამართალი, ასოციაცია „ევროპის დროით“, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, 2019, <http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/16010.pdf>
- ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 27.06,2014, <https://matsne.gov.ge/document/view/2496959?publication=0>
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, სსმ, 75, 27.12.2010, <https://matsne.gov.ge/document/view/1155567?publication=17>
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, 27.10.2015, <https://matsne.gov.ge/document/view/3031098?publication=34>
- საქართველოს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილებები
- ევროკავშირის შრომის დირექტივები:

2003 წლის 4 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/88/EC დირექტივა სამუშაო დროის ორგანიზების გარკვეული ასპექტების შესახებ;

1992 წლის 19 ოქტომბრის საბჭოს 92/85/EEC დირექტივა, რომელიც ეხება ორსულ, ახალნამშობიარე და მეძუძურ მუშაკთათვის შრომის უსაფრთხო პირობებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღებას;

1997 წლის 15 დეკემბრის საბჭოს 97/81/EC დირექტივა ნახევარ განაკვეთზე სამუშაოს შესახებ ჩარჩო შეთანხმების თაობაზე;

1999 წლის 28 ივნისის საბჭოს 1999/70/EC დირექტივა ვადიანი სამუშაოს შესახებ ჩარჩო შეთანხმების თაობაზე;

2019 წლის 20 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019/1152 დირექტივა „ევროკავშირში გამჭვირვალე და პროგნოზირებადი სამუშაო პირობების შესახებ“ (რომელმაც გააუქმა 91/533 დირექტივა).